

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	უმალესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - მარკეტინგი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	<i>ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი</i>
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 კრედიტი (160 კრედიტი სავალდებულო და 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებით სპეციალობა/არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<i>საგანმანათლებლო პროგრამა - "მარკეტინგის" მიზნებია:</i> მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა ნებისმიერი სახის საწარმო-დაწესებულებაში
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	<p>ზოგადი კომპეტენციები</p> <p>აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს; შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა უცხოურ ენაზე; შეუძლია შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება. მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.</p> <p>დარგობრივი კომპეტენციები</p> <p>აქვს ფართო ცოდნა მარკეტინგის ძირითადი პრინციპების, საერთაშორისო მარკეტინგის მეთოდების, სოციალური, ინოვაციური და სტრატეგიული მარკეტინგის დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, ბრენდინგის, მარკეტინგული კომუნიკაციების, ბაზრის ანალიზის, სეგმენტირების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;</p> <p>ფლობს მარკეტინგული კომუნიკაციების ეფექტური გამოყენების, არგუმენტირებული მსჯელობის წარმართვის უნარს მარკეტინგულ პრობლემებთან დაკავშირებულ თემებზე; გუნდური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.</p> <p>გააჩნია კონკურენტულ გარემოში ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ანალიზის, მარკეტინგული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის, მარკეტინგულ საქმიანობაში სწორი პრიორიტეტების გამოკვეთის, მომხმარებლებთან და საზოგადოების სხვადასხვა სუბიექტებს შორის ურთიერთობის დამყარების, ფასწარმოქმნის, გაყიდვების ორგანიზაციის და მართვის უნარი;</p>
შეფასების წესი	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>პროგრამის ხელმძღვანელები: გელა მამულაძე, სრული პროფესორი ტელ: (+99593) 98 27 80 E-mail: gelamamuladze@gmail.com პაატა აროშიძე, ასოც. პროფესორი ტელ: 593 32 81 70; ელ-ფოსტა: aroshidze@list.ru</p>